Sylitol® Minera

კვარცის საგრუნტი მასალა და საბოლოო საფარი სილიკატურ ბაზაზე,
გარე და შიდა სამუშაოებისთვის, DIN 18363 სტანდარტის შესაბამისად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

კარგი შემავსებელი უნარის მქონე, სტრუქტურის გამათანაბრებელი და ბზარების შემავსებელი საფარი გარე და შიდა სამუშაოებისთვის. გამნოიყენება საგრუნტი, შუალედური და საბოლოო ფენებისთვის.
Sylitol® Minera გამოიყენება როგორც ადჰეზიური საგრუნტი მასალა ქიმიურად გასუფთავებული ძველი ზედაპირებისთვის, როგორც საგრუნტი ფენა შემდგომი სილიკატური დანაფარებისთვის ან ბათქაშებში მცირე დეფექტებისა და ბზარების შესასწორებლად, შემდგომში Sylitol® სერიის საღებავებითა და ბათქაშებით დასაფარად.
შიდა სივრცეებში გამოიყენება როგორც წმინდა სტრუქტურის მქონე შუალედური ფენა კრეატიული სილიკატური ლაზურით დაფარვის შემთხვევაში. Sylitol® Minera გამოდგება ფოროვანი ბეტონის საკედლე ფილების ზედაპირის დასაცავად და აკმაყოფილებს ფოროვანი ბეტონის მწარმოებლების ყველა მოთხოვნას.

Caparol-ის შიდა თბოსაიზოლაციო სისტემები: გამოდგება Capatect IDS Protect და Capatect IDS Minera სისტემებისთვის.

თვისებები

- გამხსნელების და დამარბილებლების გარეშე
- ატმოსფერული ზემოქმედებისადმი მედეგი,
- ბზარების შემავსებელი, შევსების მაღალი ხარისხით
- სორბციის უნარიას მქონე
- CO2-ის გამტარი
- კარგი ადჰეზიის უნარი მინერალურ ზედაპირებზე
- გარემოსთვის უსაფრთხო
- არაწვადი, A2, DIN 4102-ს შესაბამისად
- თავისუფალია ნივთიერებებისგან რომლებიც იწვევენ დანისვლის (fogging) ეფექტს

მასალის შემკვრელი

კალიუმის თხევადი მინა (ნატრიუმის სილიკატი) ორგანული დანამატებით.

შეფუთვა

სტანდარტული შეფუთვა: 8კგ და 22 კგ.

ფერი

თეთრი. შეფერადება შესაძლებელია Histolith-Volltonfarbe-ს ფერების მაქსიმუმ 10%-ის დამატებით. უფრო მაღალი შემცველობის შემთხვევაში შეუძლებელია სასურველი სტრუქტურის მიღწევა. ფერის ტონში სხვაობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შეურიოთ მთელი საღებავი.

Sylitol® Minera კოლერდება მანქანური მეთოდით ColorExpress-ის სისტემით ყველა ტონებში, ფერებზე, რომელთა სიღიავის ინდექსი არ აჭარბებს 70-ს. აპარატით შეფერადებისას, ფერზე დაყენებული პროდუქტი დატანამდე უნდა შეედაროს სასურველ ფერს, რათა გამორიცხულ იქნას ფერთა სხვაობა. ერთი ზედაპირის ღებვისას გამოიყენეთ იდენტური წარმოების სერიის მქონე პროდუქტი.
ფოროვანი ბეტონის დამუშავებისას სიღიავის ინდექსი უნდა აღემატებოდეს 40-ს. ინტენსიურ და სუფთა ტონებს, გააჩნია ნაკლები დაფარვისუნარიანობა. რეკომენდებულია შუალედური ფენის დატანა შესაბამის პასტელურ ტონში, პიგმენტირებული თეთრი საღებავის ბაზაზე. შესაძლებელია საჭირო გახდეს განმეორებითი, დამასრულებელი ფენის დატანა.

CAPAROL

სიპრიალის ხარისხი	მქრქალი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ პირობებში, მოარიდეთ ყინვას. გახსნილ შეფუთვას თავი მჭიდროდ დაახურეთ. შეინახეთ მხოლოდ პლასტმასის შეფუთვაში. ვარგისიანობა - დაახლ. 12 თვე.
ტექნიკური პარამეტრები	**DIN EN 1062-ის მიხედვით:** ■ ნაწილაკების მაქსიმალური (grit) ზომა: <1500 µm, S3 ■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.7 გ/სმ ■ მშრალი ფენის სისქე: 200-400 µm, E_4 ■ დიფუზიის კოეფიციენტი, ჰაერის ფენის სისქის ექვივალენტი sdH2O: <0,14მ (მაღალი) V1 ■ წყალგამტარიანობა (w): ≤ 0,1 კგ/(მ h) (დაბალი) W_3 ■ ბზარების შევსები კლასი: 2 x 400 გ/მ² Sylitol ® Minera, კლასი: A_1 (> 100 µm)
შენიშვნა	კოლერების შემდეგ შესაძლებელია ტექნიკური პარამეტრებიდან უმნიშვნელო გადახრა

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, თავისუფალი განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან.
ზედაპირის მომზადება	ექსტერიერი

MG PIc, P II და P III ჯგუფის ბათქაშები / მინიმალური სიმტკიცით 1ნ/მმ2, DIN EN 998-ის შესაბამისად:
ახალი ბათქაშების გადაღებვა შესაძლებელია როგორც წესი 1 კვირის შემდეგ, ჰაერის 20°C ტემპერატურის და 65% ტენიანობის პირობებში. არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში, მაგალითად: ქარი და წვიმა, შესაბამისად უნდა გაიზარდოს დროც.
ძველი, მყარი ბათქაშების დაბინძურებული ადგილები გარეცხეთ ხელით ან მანქანით, წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, ან სხვა საშუალებებით, სათანადო წესების დაცვით. სველი ქვშანარევი მეთოდით იწმნიდება მხოლოდ P II და P III ჯგუფის ბათქაშები.

ცარცვადი ბათქაშები:
ცარცვადი ფენა მოაშორეთ ფლუატირების მეთოდით, Histolith Fluat-ის გამოყენებით და შემდეგ მორეცხეთ.

ზედაპირები სინტერის აპკით:
სინტერის აპკი, რომელიც გამოირჩევა მსუბუქი სიპრიალით მოაშორეთ ფლუატირების მეთოდით, Histolith Fluat-ის გამოყენებით და შემდეგ მორეცხეთ.

ბათქაშის ქვიშანარევი ზედაპირები:
ქვიშანარევი ზედაპირი მოაშორეთ მშრალი ჯაგრისით და გარეცხეთ წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, სათანადო წესების დაცვით.

ფოროვანი ბეტონის საკედლე ფილები:
დაამუშავეთ ჯაგრისით. მოაშორეთ ჭუჭყი. დიდი ზომის, 5 მმ-ზე მეტი სიდიდის ამოტეხილი ადგილები და დეფექტები ამოავსეთ Disbofein 331 Reparaturmörtel-ით. მცირე ქარხნული დეფექტები გაასწორეთ ფითხით Disbofein 332 Spachtel.

ბათქაშების შერემონტება:
დაზიანებული ბათქაშების შესწორების და ბზარების ამოვსებისისას, ყურადღება მიაქციეთ, რომ სარემონტო ხსნარის სიმტკიცე და სტრუქტურა შეესაბამებოდეს არსებული ბათქაშისას. ბათქაშების შესარემონტებლად მიზანშეწონილია მზა დუღაბები ტრას-კირის/ტრას-ცემენტის ბაზაზე. შერემონტებული ადგილები კარგად უნდა შეიკრას, გაშრეს და დამუშავდეს ფლუატირების მეთოდით, Histolith Fluat-ის გამოყენებით. მიაქციეთ ყურადღება, რომ ფლუატირება შესრულდეს შერემონტებული ადგილის გარშემოც, 1 ან 2 ფუნჯის სისქეზე. დიდი ფართების შერემონტებისას მოახდინეთ მთელი ზედაპირის ფლუატირება.

ძველი მინერალური დანაფარები:
მზიდი დანაფარები გაიწმინდოს მშრალი ან სველი მეთოდით. არამზიდი დანაფარები მთლიანად მოცილდეს ჯაგრისით, ზუმფარის ქაღალდით, ან წყლის ჭავლით, შესაბამისი წესების დაცვით. იგრუნტება Sylitol ® Konzentrat 111-ით.

ხელოვნური ფისის შემცველი ბათქაშების და დისპერსიული საღებავების არამზიდი დანაფარები:
მლიანად მოცილდეს შესაბამისი წესების დაცვით (მექანიკურად, ან წყლის ჭავლით). სუსტად შემწოვი და გლუვი ზედაპირები დაიგრუნტოს Sylitol® Minera-ით, ხოლო შემწოვი და ქვიშანაყარი ზედაპირები - Sylitol ® Konzentrat 111- ით.

დისპერსიული მქრქალი საღებავების მზიდი ზედაპირები:
ძველი დანაფარების დაბინძურებული და ცარცვადი ადგილები გაიწმინდოს წყლის ჭავლით სათანადო წესების დაცვით და დაიგრუნტოს Sylitol Compact ან Capagrund Universal-ით.

სილიკატური აგურის წყობა:
შემდგომ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ყინვაგამძლე აგური, რომელიც არ შეიცავს სხვა მინარევებს. აგურთა შორის არ უნდა იყოს ბზარები. გამოსული მარილები მოიწმინდოს მშრალი ჯაგრისით. ცარცვადი ადგილების არსებობისას მთელი ზედაპირი დამუშავდეს Histo-lith Fluat-ის გამოყენებით.

ბუნებრივი ქვა
ქვის ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, მყარი და თავისუფალი მარილებისაგან. გამოფიტული ზედაპირი უნდა გამყარდეს რამოდენიმე ფენა Histolith Steinfestiger-ის წასმით. დაბინძურებული ადგილები გაწმინდეთ წყლის ჭავლით, სათანადო წესების დაცვით. დეფექტები უნდა შერემონტდეს ქვის შემცვლელი მასალებით. შერემონტებული ადგილები კარგად უნდა შეიკრას, გაშრეს და დამუშავდეს ფლუატირების მეთოდით.

მარილის ნალექის მქონე ზედაპირები:
ასეთი ზედაპირების შემთხვევაში არსებობს მარილების გამოტანის განმეორებითი შანსი, ამიტომ, დანაფარის ხანგრძლივი სიმტკიცის გარანტიას ჩვენ ვერ ვიძლევით.

ინტერიერი

მინერალური დანაფარები სინტერის აპკით, ცარცვადი ზედაპირით
გაიწმინდოს მექანიკურად ან დამუშავდეს ფლუატირების მეთოდით, შემდეგ ჩამოირეცხოს წყლით.

PI, P II და P III ჯგუფის ბათქაშები / მინიმალური სიმტკიცით 1ნ/მმ2, DIN EN 998-1-ის შესაბამისად:
მყარი, ნორმალურად შემწოვი ბათქაშები დაიფაროს წინასწარი დამუშავების გარეშე/ შერემონტებული ადგილები გაშრობის შემდეგ დამუშავდეს Histolith Fluat-ით და მოირეცხოს წყლით.

P IV ჯგუფის თაბაშირის ბათქაშები / მინიმალური სიმტკიცით 2ნ/მმ2, DIN EN 13279 S2-ის შესაბამისად:
მყარი ბათქაშები: სგრუნტი ფენა Caparol-Haftgrund-ით ან Sylitol® Mineralgrund-ით. რბილი ბათქაშები გამყარდეს Caparol-Tiefgrund TB-ით. სინტერის აპკიანი ზედაპირები დაიშლიფოს და გაუმტვერიანდეს, საგრუნტავი ფენა Caparol-Tiefgrund TB-ით. გაშრობის შემდეგ შუალედური ფენა Caparol-Haftgrund-ით ან Sylitol® Mineralgrund-ით.

თაბაშირის (თაბაშირ-მუყაოს) ფილები:
ფითხიანი ადგილები გაიშლიფოს. საგრუნტი საფარი Caparol-Haftgrund-ით ან Sylitol® Min-eralgrund-ით. ფითხის რბილი ადგილები გამყარდეს Caparol-Tiefgrund TB-ით. წყალხსნადი ნივთიერებების შემცველი ფილები წინასწარ დაიფაროს ერთი ფენა Caparol AquaSperrgr-und-ით, შემდეგ კი შუალედური ფენა Caparol-Haftgrund-ით ან Sylitol® Mineralgrund-ით.

თაბაშრის სამშენებლო ფილები:
დაიგრუნტოს Sylitol Compact ან Capagrund Universal-ით.

ბეტონი:
გაიწმინდოს განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან. დაიგრუნტოს Sylitol Compact ან Capa-grund Universal-ით.

სილიკატური აგურის წყობა:
მარილი ნალექი გაიწმინდოს მშრალად.

კერამიკული აგურის წყობა:
დაიგრუნტოს Sylitol Compact ან Capagrund Universal-ით.

დისპერსიული მქრქალი საღებავების და ხელოვნური ფისის ბათქაშების მზიდი ზედაპირები:
დაიგრუნტოს Sylitol Compact ან Capagrund Universal-ით.

არამზიდი დანაფარები:
მთლიანად მოშორდეს ლაქის, საღებავის ან ბათქაშის არამზიდი ფენა. დაიგრუნტოს Sylitol Compact ან Capagrund Universal-ით. მინერალური საღებავის არამზიდი ფენა მოშორდეს მექანიკურად. დაიგრუნტოს Sylitol ® Konzentrat 111- ით.

დანაფარი საღებავით წებოს ბაზაზე (ტემპერა):
ჩამოირეცხოს საფუძვლიანად. დაიფაროს ერთი ფენა Caparol-Tiefgrund TB-ით, შემდეგ კი შუალედური ფენა Caparol-Haftgrund-ით ან Sylitol® Mineralgrund-ით.

ობმოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები:
დაბინძურებული ადგილები გაწმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox -ით ან FungiGrund-ით, კარგად გააშრეთ. შემდგომ დაფარეთ ზედაპირის შესაბამისი გრუნტით. ძლიერ დაზიანებულ ზედაპირებზე დამასრულებელ ფენად წაუსვით Indeko-W, Malerit-W, ან Fungitex-W.

მარილის ნალექის მქონე ზედაპირები:
ასეთი ზედაპირების შემთხვევაში არსებობს მარილების გამოტანის განმეორებითი შანსი, ამიტომ, დანაფარის ხანგრძლივი სიმტკიცის გარანტიას ჩვენ ვერ ვიძლევით.

დატანის მეთოდები

გლუვ ზედაპირზე დაიტანეთ ფუნჯით, ხოლო სტრუქტურულ ზედაპირზე უმჯობესია გორგოლაჭით დატანა. მიფრქვევით დატანა შესაძლებელია უჰაერო მეთოდით, მძლავრი კოლბური დანადგარით.

ფოროვანი ბეტონის საკედლე ფილები:
საგრუნტი ფენა დაიტანეთ გორგოლაჭით. საბოლოო ფენა დაიტანეთ სათითაო ფილაზე გორგოლაჭით და დაუყოვნებლივ პირიდან-პირამდე, ერთი მიმართულებით გადაუარეთ ღრუბლის სტრუქტურული გორგოლაჭით (მაგ. Moltropren-უხეშით).

საფითხი სამუშაოები:
Sylitol® Minera გაასქელეთ კვარცის წმინდა ქვიშით, ფითხის კონსისტენციამდე.

უჰაერო მიფრქვევა (Airless):
მიფრქვევის კუთხე: 50°, ნახვრეტის სისქე: 0,029–0,035”, წნევა მიფრქვევისას: 50 ბარი. სამუშაოს დასრულებისას ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით.

დაფარვის სტრუქტურა

Sylitol® Minera როგორც საგრუნტი საფარი:
გააზავეთ მაქსიმუმ 10%, ხოლო შუალედური და საბოლოო ფენები მაქსიმუმ 5% Sylitol® Konzentrat 111-ით. ძლიერ შემწოვ ზედაპირებზე მანამდე ჯაგრისით, სქლად დაიტანეთ ერთი ფენა Sylitol® Konz-entrat 111 გაზავებული წყალთან, პროპორციი - 2 : 1-თან.

ფოროვამი ბეტონის სამშენებლო ფილებზე: საგრუნტო საფარად ერთი ვედრო Sylitol® Minera გააზავეთ 1,6-2 ლ. (წონის 8-10 %) , ხოლო საბოლოო საფარად 0,4-0,6 ლ. (წონის 2-3%) Syli-tol® Konzentrat 111-ით

ხარჯი

ერთ ფენაზე დაახლოებით 400-500 მლ/$მ^2$ გლუვი ზედაპირის შემთხვევაში.
ხაოიანი ზედაპირების დამუშავებისას ხარჯი იზრდება. ფოროვანი ბეტონის სამშენებლო ფილებზე გათვალთ დაახლოებით 900-1000 მლ/მ2, როგორც საგრუნტ ისე საბოლოო ფენაზე. ზუსტი დანახარჯის განსაზღვრა ხდება სასინჯი დატანის საშუალებით.

გამოყენების პირობები

მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:
ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ +8°C-სა. არ გამოიყენოთ მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, წვიმაში, ან ექსტრემალურად მაღალი ტენიანობის და ქარის პირობებში. მოერისეთ ყინვიან ღამებში გამოყენებას.

შრობის დრო

ჰაერის +20° ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში, ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში. ფოროვან ბეტონის ფილების შემთხვევაში - 24 საათში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით ან სარეცხი საშუალებით. შესვენების დროს შეინახეთ წყალში ან საღებავში.

შენიშვნა

იმისთვის, რომ ცალკეული ნაწილების გადაბმის ხაზები დამუშავებულ ზედაპირზე არ დარჩეს შესამჩნევი, პროდუქტის დატანა უნდა მოხდეს ერთი მოსმით, „სველი-სველზე“ პრინციპით.
მასალა გამოუსადეგარია წყლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის.
შიდა სივრცეებში Caparol-Tiefgrund TB-ის გამოყენებამ შეიძლება დადგეს გამხსნელის დამახასიათებელი სუნი. ამიტომ იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. შენობებში, სადაც განიავება ვერ ხერხდება, გამოიყენეთ უსუნო AmphiSilan-Putzfestiger-ი. Sylitol®-ით დამუშავებულ მინერალურ ზედაპირებზე შეიძლება გამოვლინდეს ე.წ. “ღრუბლოვანი” ეფექტი. ამ ეფექტის თავიდან აცილების მიზნით ზედაპირი გადაფარეთ ერთი ფენა Syli-tol® Finish 130-ით, სასურველ ტონალობაში. ფაქტურის იერსახე დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, ამიტომ არ არის რეგლამენტირებული (იხ. საერთაშორისო ნორმის BFS-ის საინფორმაციო ფურცელი #25). თაბაშირის შემცველ ფითხებზე დატანამ შესაძლებელია გამოიწვიოს სასურველი ტონალობიდან გადახვევა. Caparol-Haftgrund-ის ან Sylitol® Mineralgr-und-ის შუალედური ფენის დატანა ამცირებს ამის საშიშროებას.

შეთავსებადობა სხვა პროდუქტებთან:
სპეციალური თვისებების შენარჩუნების მიზნით არ შეიძლება სხვა პროდუქტებთან შერევა.

მომიჯნავე ზედაპირების დაცვა:
მუშაობისას გულდასმით დაფარეთ მომიჯნავე ზედაპირები, განსაკუთრებით: შუშა, კერამიკა, კლინკერი, ბუნებრივი ქვა, მეტალი, ბუნებრივი, ან დალაქული ხე და სხვა დალაქული მასალები. შხეფები მაშინვე უნდა მოიწმინდოს სუფთა წყლით.

კონსტრუქციული ზომები:
შენობის გამოშვერილი ნაწილები (ფანჯრის რაფები, კარნიზები და სხვა) დაიცავით სათანადო წესებით.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მოარიდეთ ბავშვებს. ექიმთან კონსულტაციისას წარუდგინეთ შეფუთვა ან ეტიკეტი. მუშაობის პროცესსში იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. ნუ შეჭამთ, დალევთ და მოწევთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ და გულდასმით დაიბანეთ წყლით და საპნით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი ღრუბელი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ უსაფრთხოების ფურცელი.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქის ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 10 გ/ლ აქროლადი ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი საღებავები და ემალები	გისკოდი: BSW10 მოძველებული: M-SK01
შემადგენლობა	ალკალური ნატრიუმის სილიკატი, ხელოვნური ფისის დისპერია, მინერალური პიგმენტები, მინერალური შემავსებლები, წყალი, ადიტივები. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. **შპს კაპაროლ ჯორჯია** ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო office@caparol.ge www.caparol.ge